

„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებულ ბაღებში მოსავალს იღებენ

25 სექტემბერი 2017

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძვეერაში პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, შპს „ნილ ედვაიზორი გრუპმა“ ახალი ხეხილის ბაღი 2015 წელს გააშენა. კომპანიამ „ნილ ედვაიზორი გრუპი“ 10 ჰექტარზე ვაშლის ბაღის გაშენებისათვის და სარწყავი სისტემის მონყობისთვის 41 030 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო, კუთვნილ ფართობზე 2 სხვადასხვა ვაშლის ჯიშის ბაღი გააშენა და წელს პირველი მოსავლის სახით 50 ტონა ვაშლს ელოდება. ბაღში 50 ადამიანია დასაქმებული.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ლევან დოლიძემ და შიდა-ქართლის გუბერნატორის მოადგილემ სიმონ გულედანმა სოფელ ძვეერაში შპს „ნილ ედვაიზორი გრუპის“ ვაშლის ბაღები დაათვალიერეს და მოსავლის კრეფის პროცესში მიიღეს მონაწილეობა.

პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებით, სახელმწიფო პროექტის ბენეფიციარმა, შპს „ნილ ედვაიზორი გრუპმა“ სახელმწიფოსგან 31 955 ლარი ნერგების შესაძენად, ხოლო 9 075 ლარი წვეთოვანი სისტემის მონყობისთვის მიიღო. გარდა ამისა, კომპანიამ კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამით ისარგებლა, შეღავათიანი აგროკრედიტის სახით 146 000 აშშ დოლარი აიღო, რომელიც ბაღის მონყობა/გაფართოებისთვის გამოიყენა. პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, შიდა-ქართლის რეგიონში მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები სულ 1 169 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა, გაცემულმა დაფინანსებამ 7 703 963 ლარი შეადგინა. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მონყობისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი, დღეის მონაცემებით, 3 604 ჰექტარს შეადგენს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 18 213 974 მილიონი ლარია.